წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 26 მაისი 1915 წ. № 2.

# საქართველო

ხელისმოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე,) და ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა, (5 მან.) „საქართველო“ გაეგზავნებათ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს“ მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## ახალი კლუბი

—:—

**საზაფხულო ბაღი** გაიხსნება 1 თიბათვეს. ბაღი გაფართოვდა და გამშვენიერდა. დღე კლუბის გადასვლისა ბაღში აღნიშნულ იქნება **განსაკუთრებულ ზეიმით**

3—2

## ირ. ევდოშვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსაის გადაეცემა.

„საქართველოს“ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა.

—უ—

კბილის ექიმი ქალი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21,

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—6 საათამდე, კვირა დღის გარდა. ოლღას ქუჩა, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ქ. გორში

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიული სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფისა აფთიაქთან

## თბილისი, 26 მაისი

არსად და არასოდეს არ ყოფილა პოლიტიკური კვანძი იმდენად რთული და დახლართული, როგორც ბალკანეთში. მთელ ევროპაში ყველაზე მეტად და ყოველ მხრივ ჩამორჩენილ კუთხედ სწორედ ეს ქვეყანა ითვლება, მაგრამ უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში უმეტეს შემთხვევაში აქ ჩნდება ხოლმე მიზეზი ყოველგვარ დიპლომატიურ აწეწილობისა და აქედან გადადის პეტროგრადსა, პარიზსა, ბერლინსა და ლონდონში; აქედან იწყობა სათავე ძალოვან სახელმწიფოთა შეხლა-შეჯახებისა და დიდი ხანია აქედანვე მოელოდნენ დღევანდელს საერთაშორისო კატასტროფას და წინდაწინვე წყევლა-კრულვით იხსენებდნენ ამ ქვეყანას.

გამოჩენილ დიპლომატებს ალღომ არ უღალატა: კატასტროფა მართლა აქ დაიწყო. სერბიაში გამოკვესილი პირველი ნაპერწკალი მეხად დაატყდა მთელ კაცობრიობას და საშინელ ალად მოედო ევროპას, მერე აზიაშიც გადმოვიდა. ეხლა მთელს ქვეყანას უქადის შთანთქვასა და განადგურებას.

ჯერ კიდევ 1908 წელს, როცა ავსტრიამ ბოსნია-ჰერცოგოვინა შემოიერთა, გერმანიის დახმარებით მუქარით ეს ფაქტი რუსეთს ალიარებინა და ამით სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადიმტერა იგი, ევროპაში გაისმა ხმა, რომ რუსეთი მერე მოიგონებს ამას და ადრე თუ გვიან თავის შელახულ სახელის აღდგენას მოინდომებსო. მრავალთა შორის ეს აზრი გამოსთქვა გერმანიის უდიდესმა სახელმწიფო მოღვაწემ და მეცნიერმა დელბრიუკმა, რომელიც ნამდვილი წინასწარმეტყველი გამოდგა. მან რამდენიმე წლის წინად საქვეყნოდ დასწერა, რომ საერთაშორისო ომის პირველი ნაპერწკალი იფეთქებს სერბიაში, მას მიეშველება რუსეთი, რუსეთს საფრანგეთი, ავსტრიას—გერმანია და გერმანიას ოსმალეთი. მან ისიც განაცხადა, რომ ამ ომში [illegible] ჩაირევა ინგლისიც, რომელიც მხოლოდ ასეთ კომბინაციას უცდის თავის მოსისხლე მტერთან—გერმანიასთან ანგარიშის გასასწორებლადაო. გაბედა მან იმის თქმაც, რომ იტალია ავსტრო-გერმანიას არ მიეშველება და ნატრულობდა მხოლოდ იმას, რომ იგი მხოლოდ განზე გამდგარიყო და „უკანიდან არ დაეცა მახვილი თავის მოკავშირეთათვის“.

ყველაფერი გამართლდა. ავსტრო-გერმანელნი მოელოდნენ მესამე მოკავშირის დაკარგვას და ომის დაწყებიდანვე ეცადნენ დანაკლისის ანაზღაურებას. ისინი არაფერს მოერიდნენ და ორივე ხელით ჩაეჭიდენ ბალკანეთის სამ სახელმწიფოს: რუმინიას, ბულგარეთსა და საბერძნეთს.

ომის დაწყებიდანვე ბალკანეთი გადაიქცა უმაგალითო ბაზრად დიპლომატიურ თამაშისა და დაპირებისა, ღიმილისა და ბღვერისა, ხვეწნისა და მუქარისა. ორივე მხარე არაფერს ერიდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთა სერიოზულ გაზეთის სიტყვით, ოთხთა კავშირმა ულტიმატუმიც წარუდგინა ბალკანელებს: ან ჩვენს გვერდით იარაღით ხელში, ან ჩვენს პირდაპირაო. მაგრამ არც რუმინია და არც ბულგარეთი გადაჭრილ პასუხს არ იძლევიან და ვერც მისცემენ, ვინაიდგან ცხადია, რომ ეხლა ომში ჩარევა მათთვის ყოფნა-არყოფნის საკითხია. ისინი დროს ელიან, ღრმად ფიქრობენ, ანგარიშობენ და როცა დრო მოვა, ფრანგ დიპლომატის კამბონის თქმისა არ იყოს, „თამამად და გაბედულად მიეშველებიან... გამარჯვებულს“.

ვერავინ იტყვის, რა ფორმაში ჩამოყალიბდება ეს „მიშველება“, ვინაიდგან ბალკანეთის სახელმწიფოთა შინაური ანგარიშები და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები ისე არიან გადახლართულნი და გაკვანძულნი, რომ მათს ჩარევას ომში ადვილად მოჰყვება ერთმანეთის დარევა თუ წინდაწინვე არ მორიგდენ. მორიგება და კავშირი კი არ ხერხდება. რაც შესძლო რუსეთის უცხო საქმეთა მინისტრმა იზვოლსკის 1911 წელს, ეხლა ვერ შესძლებს ვერავინ, ვინაიდგან შეუძლებელია ბუქარესტის ხელშეკრულობის დაურღვევად ბალკანელთა მორიგება, ხოლო დარღვევა ამ ხელშეკრულობისა შეიძლება მხოლო იარაღით; ამიტომ უფრო ადვილია ერთისა ანუ ორი სახელმწიფოს ჩათრევა ომში ვიდრე მათი მორიგება ეხლა და შეიძლება, ნადავლის გაყოფის დროსაც. გულში სამივე სახელმწიფოს უნდა ჩარევა, მაგრამ სამივეს ერთ-ერთმანეთისა ეშინიან, ვინაიდან შეუძლებელია ბრძოლა და უკან ცქერა, მტრის ბანაკში შეჭრა და ზურგის გაშიშვლება.

უკანასკნელ ცნობებით რუმინიაც და ბოლგარიაც ელიან ეხლანდელ უმაგალითო ბრძოლის დასრულება. საკითხი მათის ჩარევისა გადასწყდება არც ბულგარეთში და არც რუმინიაში, არამედ ვისლის ნაპირებსა და გალიციაში, ამიტომ იმათი ბედიც უფრო რუსეთის და გერმანიის მახვილზე ჰკიდია ვიდრე საკუთარ სურვილსა და ნებაზე.

ამიტომ შესაძლებელია, რომ დღეს თუ ხვალ ბალკანეთის ზოგიერთა სახელმწიფომაც აიღოს თვისი მახვილი ბრძოლის სასწორზე და ერთხელ კიდევ სცადოს გადაჭრა იმ წყეულ პოლიტიკურ კვანძისა, რომელიც აქამდე მთელს ევროპას ძილს უფრთხობდა და შიშის ზარსა სცემდა.

მეტად ძნელია და ნაადრევიც ეხლანდელ საშინელების ნამდვილ სათავის აღმოჩენა და მის უთვალავ მიზეზთა ჩამოთვლა და იქნება ვერც გავიგოთ. მსოფლიო უბედურებას, ვითარცა უდიდეს მდინარე, ათასი და ათი ათასი სათავე აქვს, შესართავი კი მხოლოდ ერთი, და შესაძლებელია, რომ იგი მდინარე უბედურებისა სწორეთ ბალკანეთში შეუერთდეს მსოფლიო ისტორიას და იქ დასრულდეს.

---

## დიდი საქმე

დედათა ქართული სასტატო სემინარია—პირველი ეროვნული სკოლა.

ეროვნული სკოლა!.. აი, ის ნეტარების მასალა, რომელიც პირველ ქვად უნდა ჩაიდოს ეროვნულ აღორძინების შენობაში, მტკიცე ფუძედ უნდა დაედოს საღს ეროვნულს ცხოვრებას, მის ბედნიერებას. თვინიერ ეროვნული სკოლისა, შეუძლებელია ეროვნება, ეროვნული ცხოვრება, ნამეტნავად, ჩვენს დროში.

ამ დიდმნიშვნელოვან საქმისაკენ პირველი ნაბიჯი „განათლების“ საზოგადოებამ გადასდგა.

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ამ საზოგადოების წლიურმა კრებამ, გამგეობის მოხსენებით, დაადგინა ისარგებლოს 1914 წლის, 1 ივლისის კანონით—თავის სასწავლებელში ქართულ ენაზე სწავლა შემოიღოს და ამავე სკოლასთან დააარსოს დედათა ქართული სასტატო სემინარია, რომლის უმთავრესი დანიშნულება იქნება—მოუმზადოს ჩვენს ხალხს, ბუნებრივ და საღ პედაგოგიურ პირობებში აღზრდილი, მასწავლებელი. ეს მართლაც დიდმნიშვნელოვანი კანონი ჩვენთვის სრულიად უნაყოფოდ ჩაივლის და მოგვესპობა ყოველივე იმედი და საშუალება ეროვნული სახის შენახვისა, ეროვნული ცხოვრებისა თუ ნორმალურ პირობებსა და ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი მასწავლებელი არ გვეყოლება. კომისია მხურვალედ მოჰკიდებია თავის საქმეს. ნებართვა მიუღია, საჭირო მასალა გაუცვნია, გარკვეული ტიპი მომავალ სასწავლებლისა ნათლად დაუსახავს, შეუდგენია ხარჯთ-აღრიცხვა და დღეს მიმართავს ქართველ საზოგადოებას პატარა წიგნაკით, საცა ყოველმხრივ აცნობებს მას განზრახულ საქმეს და მოაგონებს თავის მოვალეობას ამ აუცილებელ, საჭირო და სასარგებლო საქმის წინაშე. წიგნაკი დაწერილია ღრმა დაკვირვებით, დიდის ცოდნით, აღტაცებულის სიყვარულით და აღფრთოვანებულის იმედით საქმისადმი. ყოველმა ქართველმა უნდა წაიკითხოს იგი, გაიხსენოს შემზარავი ბოროტი წარსული, წარმოიდგინოს მწარე აწმყო და სახიფათო მომავალი, რათა დასთანხმდეს პატივცემულ ავტორთ, რომ ერთად ერთი ხსნა სწორედ ის გზა არის, რა გზასაც წიგნაკში გვიჩვენებენ. და მართლაც, ვისაც კი აქვს იმედი და რწმენა ჩვენის მომავლისა, მას უნდა სწამდეს, რომ პირველი ნაბიჯი ამ მომავლისაკენ არის ეროვნული სკოლა და ამ ეროვნულ სკოლის საძირკველი კი სწორედ იმ ტიპის და შემადგენლობის სასწავლებელია, რომელიც განუზრახავს და რომლის განხორციელებასაც ასეთის სიყვარულით ემსახურება „განათლების“ ს—ბა.

ვერ წარმოგვიდგენია, რა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება, კიდეც რომ გაგვიხორციელდეს ის იმედები და მისწრაფებანი, რომელნიც ტრფიალების ბურუსად გადაჰქცევია ყველა ქართველს, თუ ეროვნულ, საღ ნიადაგზე აღზრდილნი აღმასრულებელნი არ ეყოლება ზეაღნიშნულ იმედს.

ერობის შემოღება, სხვა და სხვა კულტურულ-ეკონომიური დაწესებულებანი, შორეული და ფართო ოცნებანი, ყველა ეს მკვდარი სხეული იქნება, თუ საღად აზრდილი თაობა არ შეიქმნა მათი სულის ჩამდგმელი.

დღევანდელი ჩვენი პატარა ერის მდგომარეობა, ეროვნულ თავის დაცვისათვის გვავალებს რაც შეიძლება მალე ამოვიყენოთ გვერდით დედაკაცი, რომლის დაუხმარებლად არამც თუ გამარჯვებას ვერ მოვიპოვებთ, არამედ თავის შენახვაც კი საფიქრებელი იქნება.

ეროვნულ მოვალეობით შეგნებული დედა არის სიმდიდრე და ძლიერება ოჯახისა, ოჯახი კი—ერისა. ამ მოსაზრებით—პირველად დედათა სკოლის დაარსება სწორედ რომ სამართლიანი და [illegible] პირველი ნაბიჯი ეროვნულ სკოლისაკენ გადადგმული, როგორ შეხვდება თვით ს-ბა ამას? აი საკითხი, რომელიც სულის მღელვარებას და გულის კანკალს განმაცდევინებს. ეს მოვლენა პირდაპირ დოსტაქრობა და ანალიზია ჩვენის ეროვნული შეგნებისა და თვითცნობიერებისა. მისი დამარცხება ჩვენი მომავლის დამარცხება იქნება! საბუთიანია ჩემი მღელვარება, რადგან წიგნაკს ბოლოს დართული აქვს მოხსენება—თხოვნა თბ. გუბ. თავ.-აზნ. მარშლისადმი (მხურვალე მოწოდება ყოველ ქართველისადმი) ხელთა გვაქვს ამავე თავ. აზ.-ის ანგარიში და მომავალი ხარჯთ-აღრიცხვა, და შიგ კი ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეზე ერთი გროშიც არ არის გადადებული, სწავლა განათლების ბიუჯეტი კი ასი ათას მანეთს აღემატება. მისი შესამჩნევი ნაწილი ეროვნულ ცხოვრებისათვინ მავნე და საფთხე პროგიმნაზია-გიმნაზიებზე იხარჯება. მორწმუნე გულს ეს როგორღაც არ ეჯერება და იმედოვნებს რომ საერთო კრება გამოასწორებს ამას. თავისუფალი თანხა რომ მოგვეპოვებოდეს, გონიერება და ზნეობრივი მოვალეობა მოითხოვს წავართვათ იმას, ვისაც უკანონოთ, ჩვენდა საზარალოდ ეძლევა და მიეცეს იმას, ვინც ჩვენი ცხოვრების ხეირს ისახავს მიზნად. ასეთ განიავებულ ხარჯად ჩვენ მიგვაჩნია გიმნაზია-პროგიმნაზიებზე დანახარჯი—5,000 მანეთი. ეს ფული, ჩვენის აზრით, „განათლებას“ უნდა გადაეცეს სემინარიის გასახსნელად. მაგრამ საქმე აქ არ უნდა შეჩერდეს, ყველა ქართველი მოვალეა თავისი ხვედრი შეიტანოს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

გულგრილობა და მცონარეობა ასეთ საქმეში და ასეთ დროს ღალატია ერისა და მისი აუცილებელ საჭიროებისა.

დასასრულ არ შეგვიძლიან ერთი რამ არ აღვნიშნოთ. კომისია იმედს ამყარებს მთავრობის შენობაზედ საერობო თანხიდამ. კანონის ძალით, სკოლამ ერთი გროში დახმარებაც რომ მიიღოს რაიმე დაწესებულებიდან, გარდა წოდებათა დაწესებულებისა, იგი მოვალეა მთავრობის სრულს კონტროლს და ბატონობას დაექვემდებაროს, რაიც სრულიად მოგვისპობს იმ იმედებს, რომელსაც სასწავლებელზე ვამყარებთ. მაგრამ, ვგონებ ეს ერთგვარი გაუგებრობა უნდა იყოს, რაიც შეიძლება საქმის განხორციელების მეტის სურვილით იყოს გამოწვეული.

სანდროშვილი.

---

## დეპეშები

**პეტროგრადი.** 22 მაისი ოფიციალური ცნობა მთავარ-სარდლის შტაბისაგან:

**22 მაისს ბალტიის ზღვის შუა ადგილას აღმოაჩინეს გერმანიის ფლოტის მოზრდილი ნაწილი. რიგის ყურის ახლო-მახლო ჩვენსა და გერმანიის შორის სროლა გაიმართა. არსებითი ცვლილება არ მომხდარა არც ნარიევის ფრონტზე და არც მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირზე. 31 და 22 მაისს ნაყოფიერად შემოუტიეთ ქვემო სანის მიდამოებში. ავსტრიის მეთერთმეტე კორპუსმა წინა დღეების დამარცხების შემდეგ (ვარსოლ პოდველინა—სტრუზას ფრონტზედ) უკან დაიხია გამაგრებულ პოზიციებზედ ლეგგოსა და სანის შორის. დღესაც ბრძოლაა გამართული ამ პოზიციისათვის. ბრძოლა ხდება სოფელ სტანნოს, იატასა და სადგურ ლენტოკნია—ჟარჟინოს გასწვრივ. ამ ადგილებში 22 მაისს ტყვედ ათასზე მეტი ავსტრიელი წამოვიყვანეთ. გერმანელთა დიდძალი სათადარიგო ჯარი მოეშველა ჩვენ შევიწროებულ ავსტრიელებს; მდინარე ლენგის მარცხენა ნაპირზედ თავის მოყრის შემდეგ, გერმანელებმა სამჯერ ცხარე იერიშები მოიტანეს ჩვენს წინაალმდეგ კრავცევიგერეთ. სოფელ კორჟენიცის მიდამოებში ჩვენმა ქვეითმა ჯარმა დაიჭირა გერმანელთა რამდენიმე სანგარი, სანის მარჯვენა ნაპირზედ მდ. ლიუბაჩევკასა და სკლოს შუა. 21 მაისს მტერი დაეუფლა სოფელ სტარჟევას, რომელიც მდებარეობს ვაშნის მარცხენა ნაპირზე; კონტრიერიშით იგი ამ სოფლიდან ვაოტეთ, მაგრამ ახლო-მახლო მაღლობები მაინც შეინარჩუნა.**

21 მაისს ღამით მტერი თავს დაესხა ჩვენს პოზიციებს სოფელ კრუკენიცასა და მდინარე სტრიაჩის შორის. დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ. 21 მაისს მტერმა განაგრძო თავისი იერიშები ჩვენის მოწინავე პოზიციების წინაალმდეგ, რომელებიც სოფ. კისმენიცესა და სტრი-მიკოლაევის რკინის გზის შუა იყო [illegible]-თული. მდ. დნესტრზე. ხიშტებისა და ხელით სასროლ ყუმბარების შემწეობით უკუ ვაგდეთ 4 მკაცრი შემოტევა, გარტსბერგთან. მეორე დღეს, ასე შუადღისას, მთელ დასახელებულ ფრონტიდან მტერს უკან დავახევინეთ. იგი ახალ ფრონტზე გაიშალა ისე შორს, რომ ჩვენი ზარბაზნის ყუმბარა ვერა სწვდებოდა თავის მხრივ ჩვენი ჯარი შეტევას დაადგა. შეჯახება მოხდა კრინიცთან. დღესაც ბრძოლაა.

**ლონდონი,** 23 მაისი. მილერს დახვრეტა მიუსაჯეს, განს 7 წლის კატორღა, ორთავეს ჯაშუშობა ბრალდებოდა.

ვაშინგტონიდან იუწყებიან: გერმანიაში ამერიკის ნოტას ტელეგრაფი გადასცემს თუ არა, ბერნსტორფის წარმომადგენელიც იმ წამსვე ბერლინში გაემგზავრებაო. წარმომადგენელი იმპერატორ ვილჰელმს გადასცემს იმ მოლაპარაკების შინაარსს, რომელიც ჰქონდათ ბერნსტორფსა და ვილსონს. აუწყებს იმასაც თუ რა თვალით უყურებს ამერიკის საზოგადოება გერმანელების ბრძოლას წყალქვეშათა შემწეობით. ვილსონმა ამ წარმომადგენელს თავისუფლათ მოგზაურობის ქაღალდი მისცაო.

**პარიზი.** პარიზის საზოგადოება დინჯად შეხვდა რუსის ჯარის მიერ პერემიშლის დატოვებას. „ტანის“ სამხედრო კრიტიკი სწერს: „ქალაქი გამაგრებული ადგილი არ იყო. გასვლისას ავსტრიელებმა სულ დააქციეს და თვით გერმანელებიც ამბობენ, რომ პერემიშლს გა-

დამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს". პოლკოვნიკი რუსე სწერს „ლიბერტეში": პერემიშლის აღება კიდევ არ ნიშნავს რუსების გადადევნას სანის იქითა მხარეზეო.

**სტოკჰოლმი**, 23 მაისი. ბერლინიდან იუწყებიან, ნაციონალ-ლიბერალთა პარტიამ გამოაქვეყნა პარტიის რეზოლიუცია ომის მიზნების შესახებაო. პარტია მოითხოვს, რომ დასავლეთით გერმანიას შეემატოს პოლიტიკურად, ეკონომიურად და სტრატეგიულად აუცილებელი ტერიტორია. ხოლო აღმოსავლეთით არა მარტო სტრატეგიული ადგილები, არამედ სამოსახლოც.

**რომი.** 23 მაისი. ჯართა მთავარი სადგური იუწყება: ტრენტინოსა და ტიროლის პირზედ დიდი ბრძოლა ჯერ არ ყოფილა. როვერეტოს მხრით დავიჭირეთ ახალი ადგილები მატასონე და ფილმორია. ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა მტრის ფორტების არტილერია; ზოგიერთი ფორტი დააზარალა კიდეც. 21 მაისს შეტევშემოტევა გაგრძელდა მთელი დღე. ხან ჩვენ ვიმარჯვებდით და ხან მოწინაღმდეგე. ჩვენ მაინც შევინარჩუნეთ მონტენეროს მაღლობი. ბევრი ზარალი არ მოგვსვლია.

**სოლუნი.** 22 მაისი. სისხლის ღვრა იყო მთელი სამი კვირის განმავლობაში გალიპოლის ნახევარ კუნძულზედ კრიტიას მაღლობების ხელში ჩაგდებისთვის, ამ პოზიციის გარშემო მდგომი მაღლობები დაიჭირეს მოკავშირეებმა თუ არა, ოსმალთა ჯარი მყისვე ეკვეთა მათ და იერიში ექვსჯერ განაახლა. ყველა ეს მოვიგერიეთ. ბრძოლის ველზედ ორი ათასი მკვდარი დარჩა. მაშველი ჯარის მიღების უმალვე 20 მაისს მოკავშირეებმა მკაცრი იერიში მიიტანეს ოსმალებზე.

მოტილენიდან იტყობიმებიან: ინგლისელებმა მოეხენისი დაიჭირეს, საცა დიდი დესანტი გადმოასხეს. როდოსში დიდი უზადებაა იტალიის სადესანტო კორპუსის მისაღებად. ამბობენ, საფრანგეთ-ინგლისის ფლოტი საერთო შემოსევას მოახდენს ანატოლიის ნაპირებზეო.

**პეტროგრადი** 23 მაისი. მინისტრთა საბჭომ მილიონ ნახევარი გადასდო, პრინცი ოლდენბურგის ნებართვით, სამკურნალო ადგილებისა და მათი კეთილმოწყობისათვის. ეს ფული სესხის სახით მიეცემათ სამკურნალო ადგილების პატრონთ.

[illegible]

ოფიციალური ცნობებიც ადასტურებენ, საფრანგეთის ჰაეროპლანებმა ყუმბარები დააყარეს გერმანიის კრონპრინცის მთავარ სადგურსო.

**სოლუნი.** 23 მაისი. ტენედოსიდან იტყობინებიან, მოკავშირეებმა კრიტიის სიმაღლეები დაიჭირესო.

**პარიჟი.** 23 მაისი. დღის 3 საათის ოფიციალური ცნობა- მტერმა ღამით სამი კონტრ-იერიში მიიტანა სუშეს ჩრდილო აღმოსავლეთით, შაქრის ქარხანაზე, მაგრამ სამჯერვე უკუ ვაგდეთ დიდის ზარალითო. დაპყრობილი პოზიციები ხელთ გვიჭირავს. ღამით გერმანელთა პოსტი დავატყვევეთ, სუშიდან 1 კილომეტრის მანძილზედ. არასის რაიონში ცხარე საარტილერიო ბრძოლაა.

**ლონდონი.** 22 მაისი. ოფიციალური. კამერუნში მომქმედმა ინგლის-საფრანგეთის ჯარმა 16 მაისს მოწინააღმდეგე განდევნა მდინარე ნიონგის გამაგრებულ პოზიციებიდან. მოკავშირეთ მცირე ზარალი მოუვიდათ.

**ლონდონი.** 23 მაისი. ფელდმარშალი ფრენჩის მოხსენება: მდინარე იპრის აღმოსავლეთით სამი მილის მანძილზე, სადაც განადგურებული ციხე გოოჟის მოწინავე შენობები სდგას, მტერმა საშინელი საარტილერიო ბრძოლა გაგვიმართა. წვრილ-წვრილი შეტაკება განუწყვეტლივ ჰხდებოდა და ზოგი ადგილი კიდეც დაგვატოვებინეს, მაგრამ წინა ღამით კვლავ უკან დავიბრუნეთ. იმავე ღამეს ჟივანშის ჩრდილო აღმოსავლეთით ორას მეტრის სიგრძეზე მტერი სანგრებიდან გამოვრეკეთ; თანაც 48 ტყვე წამოვიყვანეთ, მაგრამ გათენების შემდეგ მტრის გამანადგურებელ ცეცხლს ველარ გავუძელით და სანგრებს თავი გავანებეთ.

მიტილენიდან „ტაიმსს"ატყობინებენ: 22 მაისს დილას დავიწყეთ საერთო იერიში ოსმალთა პოზიციების წინააღმდეგ გალიპოლის ნახევარ კუნძულზე.

**ლონდონი.** 22 მაისი. რამდენიმე დღის წინად ასკვიტმა ფელდმარშალთან ერთად ინახულა ბრიტანიის ჯართა ბანაკი. პრემიერზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მტრის სანგრებმა და იპრის ნანგრევებმა. ასკვიტმა მოკლე სიტყვით მიმართა ჯარს. სიტყვამ ენტუზიაზმი გამოიწვია ჯარის კაცთა შორის.

**პეტროგრადი.** 24 მაისი. მთავარი შტაბის მოხსენება. რიგა-შავლის რაიონში არსებითად არაფერი შეცვლილა. ნარევის ფრონტზე, პისსას მარცხენა ნაპირზე, 23 მაისს მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა. ვისლაზე ჩვენმა მფრინავმა რამდენიმე ყუმბარა ესროლა მტრის ხომალდთა ქარავანს. ერთი ხომალდი დაიღუპა. რავკაზე მტერმა ისარგებლა პირქარით და კვლავ მხჩოლავი ჩუმბარები დაუშინა. მოშხამული ბოლი სწამლავდა ჰაერს. გალიციაში, სანის მარცხენა ნაპირზე, ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით დაიპყრეს სოფელი გრობლე. ლეჟაიკის ჩრდილოეთით ჩვენ გადავტყორცნეთ ჯარების ნაწილი. მიუხედავად მტრის მკაცრი წინააღმდეგობისა, ჩვენ მოვასწარით გამაგრება. პერემიშლიდან მტერი განაგრძობს იერიშებს მოსციკეს მიმართულებით. საღამო ჟამს, 22 მაისს, ჩიშნი-პაკოსტ-ბუხოვიტთან მტერმა დიდძალ ჯარებს მოუყარეს თავი. დიდი კალიბრის ზარბაზნები არ სწყვეტდნენ სროლას. ჩვენც მაგრად ვუპასუხებდით. დიდი ზარალი ნახა მტერმა, რის გამოც ვერ შესძლო ჩვენს თხრილებს მიახლოვებულიყო. დნესტრზე, ტიბენიცეს და სვივს შუა, 22 მაისს და შემდეგ დილით დიდი რამ შეხლა არ მომხდარა. პრუტზე, დელატინისა და კოლომის შუა, ჩვენი ჯარის ნაწილი მარჯვენა ნაპირზე გადავიდა და თამამად მოიგერია მტრის რამდენიმე კონტრ იერიში.

**პეტროგრადი**, 24 მაისი. 24 მაისს, სანაპირო სადარაჯოებიდან ჩვენმა წყალქვეშამ აღმოაჩინა ჩვენს სანაპირო ადგილებიდან ·მტრის გემების მოქმედება, განსაკუთრებით რიჟსკის ყურესთან, იმავე დროს მტრის ნაღმოსნები დიდ გემებს მოუძღვოდნენ და ყურეში შესასვლელად ემზადებოდნენ. ჩვენი გემების გამოჩენისთანავე მათ გეზი იბრუნეს და რამდენიმე ჰიდრო-ჰაეროპლანი გამოუშვეს. ჰიდრო-ჰაეროპლანთა იერიში უშედეგოდ დამთავრდა: არც ერთი მათი ყუმბარა არ მოჰხვედრია ჩვენს გემს და სწრაფი ზარბაზნის ცეცხლით ყველანი ერთად უკუ ვაგდეთ. 22 მაისს მტერმა ხელახლად მოიტანა იერიში ჩვენს სანაპიროებზე, მაგრამ ჩვენს წყალ-ქვეშათა იერიშზე კვლავ პირი იბრუნეს. იმავე დროს ბალტიის ზღვაზე მტრის წყალქვეშამ იერიში მიიტანა ტრანსპორტ „ენისეიზე", რომელიც ჩაძირულ იქმნა,

[illegible]

ჩვენს სანაპირო მოდარაჯეებისა და წყალქვეშათა ცნობით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ნაღმებისგან მტერს სამი გემი დიუზიანდა და დაღუპა.

**ათინა.** 23 მაისი. პროფესორმა ეილზელსბერემა დილის 9 საათ. მეფე მეორხის ოპერაცია გაუკეთა, რამაც მეტად მშვენივრად ჩაიარა. ასევე კარგად გადაიტანა მეფემ ფერდის ნაწილის ამოღება. საღამოთი მეფის მდგომარეობა გართულდა. ტემპერატურამ 40,2, აიწია, მაჯა 121-123,

23 მაისი. მიტილედან იუწყებიან, რომ როგორც ამბობენ, გუშინ დილით მოკავშირეთა ჯარებმა საზოგადო იერიშით გასწიეს ჰალიპოლისთან ოსმალთა გამაგრებულ პოზიციებისასაღებად. მცირე აზიის ნაპირებზე რამდენიმე ადგილას გადმოსხეს მფრინავი რაზმები ოსმალთა პოზიციის გამოსაკვლევად. ინგლისელთა ადმირალის ნება დაურთველად აკრძალულია მადროსის ყურეში შესვლა.

**პარიჟი.** 23 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: აგერ ეს რამდენიმე კვირაა, რაც რუსეთი იტანს გერმანიის სასტიკ იერიშებს. ეხლა რუსები იმავე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც ფრანგები მარიამობის თვეში, ენკენისთვეში და ღვინობისთვეში. გერმანიას ის უპირატესობა აქვს, რომ სწრაფად მაშველ ჯარების გადაყვანა შეუძლიან რუსეთის ფრონტზე, როგორც ამას რამდენიმე თვის წინ ჩვენს წინააღმდეგ სჩადიოდნენ. როგორც ენკენისთვეში რუსეთს არ შეეძლო ხელი შეეშალა გერმანელებისათვის ფრანგების ფრონტზე 25 კორპუსი არ გადაეყვანათ,ისე დღეს საფრანგეთისათვის ექვსი კვირის თავ-განწირული მოქმედება არა კმარა, რომ ხელი შეუშალოს გერმანელებს დასავლეთ ასპარეზიდან აღმოსავლეთისკენ ჯარები არ გადასტყორცნოს. აქედან გამომდინარეობს ის დაბრკოლებანი, რასაც ჩვენი მოკავშირე საოცარის ენერგიითა სძლევს და მასთან ჩვენს აღფრთოვანებას იწვევს. თქმა არ უნდა, რუსთა ჯარების მამაცური თავგანწირულება საბოლოოდ გასტეხავს გერმანელთა იმ ღონისძიებას, რითაც გერმანელები ივსებენ თავიანთ ჯარების დანაკლისს. ჩვენმა მოკავშირეებმა მიწასთან გასწორებულ პერემიშლის დაცლით დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიანთ დიდხანს განაგრძონ ბრძოლა და საუცხოვოდ გამოიყენონ ჯართა სიმრავლე. ფრანგთა მუდმივი წინსვლა გერმანელებს აიძულებს კვლავ აქეთკენ გადმოსწიონ ჯარები. და ბოლოს იტალიელთა გამოსვლა ჰქმნის მესამე საომარ ასპარეზს რაიც გამოიწვევს მტრის ჯართა ახალს დაშლა-დანაწილებას. მოკავშირე სახელმწიფონი დიდის რწმენით გაჰყურებენ მომავალს, რათა შეუწყვეტლივ განაგრძონ გულმოდგინე მუშაობა, რომ რუსეთს შეუმსუბუქოს ის მძიმე ტვირთი, რასაც იგი ეზიდება.

**პარიჟი.** 24 მაისი, დღის 3 საათი. ოფიციალური. მთელი ღამის განმავლობაში მტერი ენერგიულად შეეცადა უკან დაებრუნებინა წინა დღით, არასის ჩრდილოეთით, დაკარგული პოზიციები. აბლენისა და ნევილის შორის მდებარე ადგილი, განსაკუთრებით სუშეს შაქრის ქარხანა მისი საარტილერიო ცეცხლის მიზანი იყო. ჩვენი არტილერია უპასუხებდა. გერმანელებმა 5 კონტრ-იერიში მოიტანეს იმ მთის ფერდობთა წინააღმდეგ, რომლებიც მდებარეობს ნოტრდამდე-ლორეტის ნიშის აღმოსავლეთით. სუშე-ექსნულეტის აღმოსავლეთითაც ტყიან ადგილებში იერიში იერიშზე მოჰქონდათ. ყოველგან უკუ ვაგდეთ გერმანელთა შემოტევა. ყველა პოზიცია შევინარჩუნეთ, მტერსაც დიდი ზარალი მივაყენეთ. რამოდენიმ სანგარი წავართვით ექნულეტ-სუშეს და აბლენ სუშეს გზებ შორის. დავატყვევეთ 30 კაცი.

22 მაისს დარდანელში მოკავშირეებმა მოწინააღმდეგეზე იერიში მიიტანეს მთელ ფრონტის გასწვრივ და შეეცადნენ მტრის საყავარჯენო ადგილის დაუფლებას. ცენტრში ინგლისელებმა დაიჭირეს ოსმალთა სანგრის ორი რიგი და ოთხასი მეტრით მტერში შეიჭრნენ. ფრანგთა პირველმა დივიზიამ დაიპყრო მტრის სიმაგრეთა პირველი ხაზი. მთელი ამ ოპერაციის დროს მოკავშირეთა ფლოტი ძალიან შველოდა ქვეითა ჯარს. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ტყვეთ წამოვიყვანეთ რამოდენიმე ასი ჯარისკაცი და ათი აფიცერი. დატყვევებულთა შორის ურევია ექვსი გერმანელი მეზღვაური. მტრის არტილერია უფრო სუსტია ვიდრე ჩვენი. 22 მაისს ღამე ადვილად მოვიგერიეთ მტრის ორი კონტრიერიში.

**ათინა.** 23 მაისი. მეფის მდგომარეობა [illegible] შფოთიანი აქვს. გერმანელთა პროფესორმა ღამე ავადმყოფის სარეცელთან გაატარეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### „პრინცესა ირენა".

გემი „პრინცესა ირენა" აფეთქდა.საქმე ასე ყოფილა:

ეს გემი იყო 6,000 ტონის წყალწყვისა და ომამდე ეკუთვნოდა კანადის დიდ-ოკეანის რკინის გზის ამხანაგობას, ხოლო ომის დაწყებიდან გემი გადავიდა სამხედრო უწყების ხელში.

უბედურება მოხდა მდ. ტემზის შესართავთან, ვიქტორიის ნავთ-სადგურში, ლონდონის მახლობლად, დილის 11 საათზე. აფეთქება ისეთი საზარელი იყო, რომ ირგვლივ ყველაფერი განადგურდა.

მნახველნი მოგვითხრობენ, რომ იმ ადგილას, სადაც გემი ირენა იდგა, უცებ ამოფეთქდა უშველებელი ცეცხლის სვეტი და რამდენიმე წამის შემდეგ გაისმა წარმოუდგენელი გრგვინვა. ირგვლივ ყოველი შიშის ზარმა მოიცვა. რამდენიმე წამის შემდეგ ცეცხლის სვეტი კუპრის ფერ ღრუბლად გადაიქცა. მერე ეს ღრუბელი გაიმალა, ხოლო ქალაქში და ახლო-მახლო სოფლებში გემის ნამსხვრევისა და ნატეხების წვიმა წამოვიდა. ხალხს ეგონა, ცეპელინები დაგვესხაო და მიიმალა სახლებსა და სარდაფებში.

გემი „ირენა" ჯადოსნურად გაჰქრა და მისი კვალი დღესაც აღარა სჩანს. „ირენა"-ს ახლო იდგა მეორე სავაჭრო გემი, რომელიც აღარსადა სჩანს. დანარჩენი გემები ნავთ-სადგურში იდგნენ და ყველანი დაზიანდნენ, ხოლო მრავალი მეზღვაური მოკვდა, მრავალი დაშავდა და მრავალიც აფეთქების მიერ ატეხილმა ქარმა წყალში გადაყარა.

ქალაქში უმრავლესი ნაწილი ფანჯრებისა დალეწილია.

გემის ნალეწმა და ნატეხმა მრავალი ხალხი იმსხვერპლა ხმელეთზედაც. ექვსი ვერსის მანძილზედ ერთ სოფელში ჩამოვარდნილ ნატეხით მოკვდა ახალგაზრდა ქალი. იმავე სახლის გვერდით მეორე ნატეხმა სული გააყრევინა ერთ ცხენს და დასჭრა მრავალი საქონელი.

აფეთქების გრგვინვა გაისმა 50 ვერსის მანძილზე. თითონ გემ „ირენაზედ" დაიღუპა უკვალოდ 250 კაცი. გადარჩა მხოლოდ 4 კაცი. სამი ამათგანი შემთხვევით ხმელეთზე იყო, ხოლო მეოთხე თუმცა გემზედ იყო, მაგრამ რაღაც განგებითა და სასწაულით ცოცხალი ამოიყვანეს წყლიდან. (რ. ს.)

### კრუპის ქარხანა სტამბოლში.

ბულგარულ გაზეთ „დილას" სტამბოლიდან აცნობეს, კრუპის ქარხანამ სტამბოლში განყოფილება გახსნაო. 400-ზე მეტი ჩამოსული გერმანელი, მუშა თუ ინჟინერი, დღე და ღამ გაცხარებით მუშაობს თურმე ამ ქარხანაში, რომელიც სამხედრო მასალას უმზადებს ოსმალთა ჯარს.

### ავსტრია ტრენტინოში ახალ-ახალ ძალებს გზავნის.

შვეიცარული გაზეთების ცნობით, ავსტრიამ 30-ზე მეტი ბატარეია გაგზავნა ტრენტინოში. ამ მოკლე ხანში 50,000 ბავარელიც ინსბრუკიდან ტრენტინოში გაიგზავნება.

### რას გერმანელები შავლში იყვნენ.

შავლში, კოვნოს გუბერნიაში, გერმანელებმა რეკვიზიცია მოუხდინეს ტყავეულობის ქარხნებს. გაიტანეს რამოდენიმე მილიონის საქონელი. მარტო ნუროკის ქარხნიდან მილიონი მანეთის საღირალი წაიღეს. ტყავის გარდა გაზიდეს დიდძალი სპილენძი. ზარალი ნახეს დიდმა მაღაზიებმაც. ქალაქის ქუჩები ავტომობილებით გაივსო. გაიტანეს 80 ავტომობილით სხვილ და წვრილფეხა დახოცილი საქონელი. ქალაქში იმ წამსვე დააწესეს წესრიგის დამცველი კომიტეტი, გამართეს თავისი ტელეფონი, მოაწყეს საკუთარი ფოსტა, მტკიცე სიმაგრენი შემოავლეს ქალაქსაც: გააშენეს სანგრები და მიწისქვეშა სარკმლიანი ოთახები. მახლობელ ტყეში გამართეს სამზირო პუნქტები და გააბეს მავთულის ხლართები პოზიციების წინ.

### გერმანელები კალიშში.

გერმანელებმა კალიშიდან რამოდენიმე მანძილზე რკინის გზა გაიყვანეს. მათ აამუშავეს შეჩერებული ·მანქანიანი წისქვილები და გერმანელთა ჯარისთვის დღე და ღამ განუწყვეტლივ ფქვილს ამზადებენ. გაიხსნა ყავახანები, სავაჭრო მაღაზიები და რესტორანები.

### ბულგარიის და ოსმალეთის მორიგება.

ვენის კაბინეტმა მოახერხა და შეუთანხმა ოსმალეთი ბულგარეთს. ოსმალეთი გარდასცემს ბულგარეთს ადრიანოპოლს, უკეთუ იგი ავსტრიის, გერმანეთის და ოსმალეთის მხარეზე იქნება. (კ. ს.)

### ავსტრია და რუმინია.

როგორც გაზეთები იტყობინება, რუმინიის მთავრობას ავსტრიასთან პირობა შეუკრავს: ავსტრიამ 2000 ვაგონი ქვანახშირი და 500 ვაგონი შაქარი უნდა მიჰყიდოს რუმინიას.

იტალიის ომში ჩარევას რუმინიის მაღალი წრეები გულგრილად შეჰხვედრიან და მათში ამ ჩარევას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

სრული მყუდროება მეფობს გერმანიის პოლიტიკურ წრეებში. (დ.)

### შვეიცარელების აზრი.

შვეიცარიის სამხედრო მიმომხილველნი ჰფიქრობენ, რომ ავსტრო-გერმანელნი მდინარე სანის და დნესტრის ხაზის დაპყრობას ცდილობენ, რათა აქ გამაგრდნენ მცირე ძალებით და შემდეგ უმთავრესი ძალებით იტალიის წინააღმდეგ გაილაშქრონო (დ.)

### გერმანელები კალიშში.

როგორც იტყობინებიან, კალიში სავაჭრო ქალაქად გადაქცეულა. იქ იმყოფება ჯარისთვის სანოვაგის მიმწოდებელი მართველობა. იბეჭდება გაზეთი, სადაც თავსდება ოფიციალური ცნობანი და განკარგულებანი დაპყრობილ პოლონეთის ახალ ადმინისტრაციისა.

### ომი ზღვაზე.

„რ. ს." ატყობინებენ: ხუთმეტ მაისს გემი „ტოლმოჩური" უშანტის ახლოს ჩაძირულ იქმნა გერმანელების წყალქვეშა ნავისგან.

გემზე მყოფნი გადასხეს ქალაქ ბარში. საპალნით დატვირთული გემი „პინგსუეცი" ბატავიიდან ინგლისში მიემგზავრებოდა, ორჯელ თავს დაესხა გერმანელთა წყალქვეშა ლამანშის სრუტესთან, მაგრამ უვნებლად გადურჩათ. მხოლოდ ერთი გემზე მყოფი დაშავდა.

დანიის გემი „ზებერგი" დაღუპულ იქმნა წყალქვეშა ნავით ნიუკესტლის მახლობლად.

### პაპს ისპანიაში უნდა გადასახლება.

ესპანეთის მეფესა და რომის პაპის შორის შეთანხმებული მოლაპარაკება ყოფილა. მეფეს წინადადება მიუცია პაპისთვის ესპანეთში დაბინავდითო.

პაპი დასთანხმებია ესპანეთის მეფე ალფონსს და უთქვამს: გადმოვსახლდები უკეთუ ეს საჭირო შეიქმნაო.

### გერმანია და იტალია.

ვინაიდგან გერმანიას ჯერაც ფორმალურად იტალიისთვის ომი არ გამოუცხადებია, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიპლომატიური დამოკიდებულება უკვე შეწყვეტილია, მაინც ერთმანეთ შორის არ სჩანს მტრული განწყობილება.

ასეთი გამოურკვევლობა გერმანიისა იტალიისადმი სხვათა შორის, იმითაც მტკიცდება, რომ იტალიაში მყოფი ავსტრიის გემები შეპყრობილ იქმნა, ხოლო გერმანიისა ამ ჟამადაც თავისუფალნი არიან.

გერმანიის კანცლერმა სიტყვა წარმოსთქვა რეიხსტაგში და განაცხადა, რომ გერმანია არ უღალატებს მოკავშირის მოვალეობას, იგი თავს არ მიანებებს ავსტრიას და მახვილს აიღებს მოკავშირის დასაცავად, რომში ასე არ უცქერიან საქმეს და ამიტომ მდგომარეობა გამოურკვეველია.

### რომისკენ!

ამსტერდამიდან იტყობინებინებიან: სამი დღის წინად ვიდრე იტალია ომს გამოაცხადებდა, დასავლეთ ფრონტიდან გერმანელთა ჯარის მატარებლები იტალიის საზღვრისკენ მიდიოდა. ვაგონებს ასეთი წარწერები ჰქონდა: „იტალიისკენ!", „რომისკენ!", „ვენეციისკენ!" „ძირს მოღალატე იტალია!" („რ. ს.").

### გერმანიის რეიხსტაგში.

გერმანიის კონცლერის აღშფოთებულმა სიტყვამ ყველა პარტიას თავის გულის ნადები ათქმევინა სოციალ-დემოკრატებმა კრება პარტიის სახელით განაცხადა: მთავრობა გვიმტკიცებს, ვითომ იგი თავდაცვითი ომს ეწეოდეს, ამის გამო არ შეიძლება გერმანეთმა ახალი ადგილ-მამული შემოიერთოს. პარტიას ჩსურს ზავი ჩამოგდებულ იქმნას სწორედ ასეთ საფუძველზე. გადაჭრითი განცხადება ჩვენი მთავრობისა, რომ სხვა ადგილ-მამული შემოვიერთო, წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანეთის უძლურებას დავამტკიცებთო, უსაფუძვლოა. ამ განცხადებამ ააღელვა და ააშფოთა სხვები. კონსერვატორების ბელადი ახტა ტრიბუნაზე და განაცხადა: აქ ადგილი არ არის პრინციპიალურ განცხადებისა. ჩვენ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინტერესით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. შემდეგ ნუღარავინ გაგვიბედავს ომის გამოცხადებას. ჩვენი სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესი თხოულობს ჩვენი ქვეყნის საზღვრების გაფართოებას. ამ აზრს ვადგივართ და არც უკან დავიხევთო.

ერთმა ნაცონალ-ლიბელარმა დაახლოვებით იგივე გაიმეორა და დაუმატა: გაფართოვება ჩვენი ქვეყნისა აუცილებელია, რათა დამკვიდრდეს უმაღლესი წესიერებაო.

ამ სიტყვამ სოციალდემოკრატი ლიბკნეხტი ააღელვა და დაუყვირა, მაგას თქვენი კაპიტალი ნდომობსო.

ასეთმა შენიშვნამ აალელვა რაიხსტაგის წევრები. საშინელი აურ-ზაური ასტყდა.

### საფრანგეთი და ინგლისი ამრავლებენ საომარ მასალას.

სენატორი ბერანჟე ერთს თავის წერილში ამბობს: საკმაოდ დიდ-ძალია მოკავშირეთა ჯარი. ჯარისკაცებიც იშვიათ მამაცობას იჩენენ; მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეხლანდელი ომი,— ომია არტილერიისა, ქიმიისა და თვითამფეთქი მასალისაო. ამიტომაც ლამაზი კალმოსანი ჰანრი ბერანჟე სრულის თანაგრძნობით შეხვდა საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა გადაწყვეტილებას, საომარ მასალის გამრავლების შესახებ.

### „ლუზიტანიის" დაღუპვის გამო.

გერმანელთა პრესა ქებით იხსენიებს მთავრობის პასუხს, რომელიც მან მისცა „ლუზიტანიის" დაღუპვის შესახებ. „გერმანია სწუხს, რომ ამერიკელნი ინგლისელთა მფარველობის გარანტიას უფრო ენდვნენ, ვიდრე ჩვენს მუქარას". პრესა ხაზგასმით ამტკიცებს, ჩვენმა წყალქვეშამ საზღვაო მინისტრ ტირპიცის გეგმის თანახმად დაჰლუპა „ლუზიტანია"- პასუხისმგებლობა უნდა მოეთხოვოს ინგლისის მთავრობას, რომელიც ყოველ ზომას ჰხმარობს გერმანიის შესავიწროებლად. ჩვენმა წყალქვეშამ დაჰლუპა და დაჰლუპავს კიდეც მრავალ მისთანა გემს, თუ პრეზიდენტი ვილსონი არ მოსთხოვს ინგლისს, რომ ამერიკიდან თავისუფლად შეგვეძლოს სურსათის გამოტანაო,

## ზ ა ა ს ი

II

ჩვენი კაკალიც აღარ ჩხრიალებს.

თრიალეთის ერთ-ერთ კიდურზე გადაჰქიმულია საუცხოვო საზაფხულო საძოვარი, ანუ იალაღი. ათადან-ბაბადან ამ საძოვარს თრიალელი ქართველი ეძახდა

...რის-ხევს. სივრცე ღორის-ხევისა თითქმის ცხრა-ასი დესეტინა, ანუ ათას რვაასი დღიური.

ზაფხულობით ამ მშვენიერის იალაღით ძლიანთ დააპუროთ ორი ათას სული საქონ[ე]ლამდე.

ვისაც თვალით არ უხილავს ზაფხულობით თრიალეთი, მისი მშვენიერი ტურფობები, ველ-მინდორი, მოსილი სურნელოვან და ნოყიერის ბალახით, სავსე ანკარა და ჩუხჩუხა წყაროებით, ეს მამაც მოახერხოს, რომ გადიკითხოს ვახუშტის გეოგრაფია, ილ. ალხაზიშვილის და განსვენებულ მღვდ. ზაქ. გულისაშვილის წერილები თრიალეთის შესახებ. საიდან შეიტყობს, თუ რა მარგალიტი ყოფილა იყვეს პოეზიას მოკლებული სახელდება ღორის-ხევისა.

ღორის-ხევს ჰპატრონობდა და ჰფლობდა, რასაკვირველია, ქართველი. თუ არ ქართველისა, მაშ ვის საქონელს უნდა ეძოვნა ღორის-ხევზე? მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ლეკებმა წაახდინეს და ააოხრეს თრიალეთი, გზად დაიდევს სალეკოდან ახალციხეს და აქედან სალეკოში დაბრუნებისას. დიდძალი ქართველობა გაწყდა მაშინ, მაგრამ იმ საუკუნის გასულს ისევ მიაწყდა ქართლიდან ქართველობა და მამა-პაპათა მიწა კვლავ დაიჭირა, რუსობის მოსვლით კი ქვეყანა სამხლვარი, გარეშე მტერი ველარ აწიოკებდა და თვით მოუსვენარი ლეკები ჩაუვარდა რუსებს.

მშვიდობიანობამ მოაღონიერა სოფელი დიდი გომარეთიც. იგი აივსო ხალხით. მთელი ოთხმოცი წელიწადი მეცხრამეტე საუკუნისა გომარეთი უდავიდარაბოდ სარგებლობდა ღორის-ხევით და აძღებდა სხვილფეხა საქონელს ზაფხულობით ნოყიერი ბალახით.

ახორება გატიალების კვალიც ატყვია ღორის ხევს. მეორე მისი სახელია დონუზდარა, ესე იგი იგივე ღორის-ხევი, მხოლოდ თათრულად მონათლული. რუსის მთავრობის კაცნიც ასე უწოდებენ ამ ისტორიულ ღორის-ხევს.

გერმანელთა ახალშენმა ეკატერინფელდმა ერი ველარ დაიტია და ნაბარტყი ახალშენი ესე ორმოც კომლამდე გადასახლა თრიალეთს, ს. დიდ-გომარეთის მიდამოებში. აი აქედან იწყება უბედურება გომარეთისა. წესად რომ ასეა მიღებული, რომ რამდენი ძროხაც უნდა დაჰკლან, უეჭველად ქათამსაც ზედ წაჰკლავენ ქათმის მაგიერობა ბედმა წილად ღორის-ხევს გაუჩინა. ნაბარტყმა ახალშენმა ალექსანდერსჰილფმა მოსტაცა გომარეთს ღორის-ხევი, რომლის წყალობით გააჩაღა საქონლის მოშენება, დააარსა ყველის ქარხნები; გაკეთდა, გასუქდა და დღეს ხონთქარსაც აღარ დაუკრავს თავს. გომარეთს კი კუჭი ეწვის და შურით ნერწყვი მოსდის.

ვერ აიტანეს გომარეთელებმა ასეთი უსამართლობა და დუნია მოღალეს თვისის არზებით. ორმოც წელიწადზე მეტია, რაც იღვრება მელანი არზების წერაზე. როგორ მოსთქვამენ გომარეთის ჭირისუფალნი, ლეკებს, თურქს, ყიზილბაშს ამისთვის ვექელვინეთ, რომ ვიღაცა უცხვირ-პირო, საიდგანღაც მოთრეულმა უნდა დაიჩემოს ჩვენი მარჩენალი ღორის ხევიო? მოხელეებმაც კი შეიგნეს სიმართლე ამ მწარე გოდებისა, მაგრამ რაკი ჩვენი კაკალიც აღარ ჩხრიალებს, ღორის-ხევი ისევ ნაბარტყ ახალშენს უჭირავს.

დღეს „მუხთალ ბედის“ ჩარხი უკუღმა დატრიალდა გერმანელთათვის. სლავიანთა ტომი აღარ ინდობს აღარც გარეულს და აღარც შინაურს გერმანელს. წინად თუ თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ, დღეს უბღვერიან და კანონიც შემოიღეს, რომ გერმანელს მამული ჩამოერთვასო. არ ვიცით მხოლოდ ეს კანონი გადმოლახავს კავკასიონის ქედს, თუ სადმე შორს ჩვენგან გაიყინება.

დრო-კია, ღვთის წინაშე, რომ თუ ბამბამ არა, ჩვენმა კაკალმა მაინც დაიჩხრიალოს.

ა.—ლი.

# არწივი

მაღლა უზარმაზარი ფრიალო კლდე ამართულიყო, ძირს კი, ზურმუხტს ველზე, ანკარა მდინარე მიიხლაკნებოდა. ცის ლურჯს კაბადონზე მზისგან გაბრწყინვებული თეთრი ღრუბლის ნაჭრები მოსჩანდა და ლაპლაპებდა. ფრინველთა მეფე ფრიალო კლდის მწვერვალს მოჰქცეოდა, ველზე ჩამოსვლას არა ფიქრობდა და თავის გამჭრიახი თვალები ზევით აეპყრო.

— მე ცა მიყვარს!—ამცნო ქვეყანას არწივმა ძლიერის კივილით.—მე მინდა ბინა იმ თეთრს კოშკებში დავიდვა. იქ მზეთუნახავი ხმანარა ჩემს ყურს ტკბილს ჰანგებს ჩააწვეთებს.

ამაყმა ფრინველმა აფრა გაშალა, ჰაერის ტალღებში შეათამაშა და თეთრს ღრუბლებისაკენ გასწია. შვილდიდან ნატყორცნი ისარივით მიდიოდა მაღლა, მაგრამ თეთრს კოშკებს ვერ უახლოვდებოდა.

ჰაერი თხელდებოდა და არწივს სიმძიმე ემატებოდა.

— მე მინდა იმ თეთრს კოშკებში დავიდვა ბინა! მე მინდა ჩემი ყურები ხმანარამ დაატკბოს!—იკივლა კიდევ არწივმა და ფრთის ცემას მოუხშირა.

ჰაერი უფრო და უფრო თხელდებოდა, არწივს სუნთქვა ეკვროდა, სული ეხუთებოდა, თეთრი კოშკები კი ისევ შორს იყო.

— მე მინდა!..—დაიწყო კიდევ არწივმა და სიტყვა ველარ გაათავა, ხმა ჩაუწყდა, ფრთები ჩვრებივით ჩამოუშვა და ლოდივით ძირს დაეშვა.

ჰაერი გასქელდა, არწივი გონს მოვიდა, მაგრამ თეთრს კოშკებში დაბინავებას აღარ ლამობდა. სასოწარკვეთილი მძიმემძიმედ დაეშვა მწვანე ველზე, მდინარესთან მიხანხალდა და ანკარა წყალს დაეწაფა.

მდინარე ხან ღუღუნებდა, ხან ჩუხჩუხებდა ხან რაკრაკებდა და ფრინველთა მეფეს ყურში ულიტინებდა.

— ხმანარა აქა ყოფილა!—წამოიკივლა ალტაცებულმა არწივმა...

მაღლა თეთრი ღრუბლები დაიშალნენ და მიიმალნენ. ლურჯი ცა ქვეყანას ზევიდან დასცქეროდა.

ინ-ბანი.

# ჩვენები ომში

„შაშა ერისთავი“.

ქართულ რაზმის ბანაკი სოფელ ბ-თან დიდ მზადებაშია. ყველაფერი იგვის, იწმინდება და იფხიკება. ელის იქაურ ბრძანებელის ღენერალ ლ-ს მოსვლას.

აფიცრები, ოსმალთა მიერ მინგრეულ სახლის ერთს გადარჩენილ ოთახში საჩქაროთ სადილს ათავებენ, რათა ღენერალი უცაბედათ თავს არ წაადგეს.

— კაცო! ეს ჩვენი საშა ერისთავი სად გადაკარგულა, აქამდის სად არის? ჰკითხა ერთმა აფიცერმა მეორეს.—რაღა სწორეთ ამისთანა დროს გადაიკარგება ხოლმე!

—წეღან მურღულისაკენ ავტომობილით მიაქანებდა,—უპასუხეს სხვებმა,—ეხლავე დაბრუნდება.

— იქნება არ იცის რომ ღენერალი მოდის?.

— საიდან ეცოდინება, ის აქ არ იყო როცა ჩვენ შევიტყეთ ეს ამბავი.

— მაშ უნდა კაცი ვაფრინოთ. როგორც კი ავტომობილი გამოჩნდება, შეაჩეროს და აცნობოს, თორემ ისევ სადმე გაქრება. დაუძახეს მარდი რაზმელი, მისცეს ბრძანება და გზატკეცილისაკენ გაგზავნეს.

ამ დროს ტელეფონით რაზმს ეცნობა, რომ ღენერალი საქმეების გამო ბანაკთან არ შეჩერდება და მის პირდაპირ გაივლის.

აფიცრებმა თავის ფარ-ხმალი მოიხსნეს, დამშვიდებით ამოისუნთქეს და შეწყვეტილ სადილს შეუდგნენ.

ჟღვიალ-ხივილი და სიმღერა ისმოდა აფიცერთა „სობრანიაში“.

— კარგი იქნება ჩვენი საშა მრისხანე ღენერალს გზაზედ დაეტაკოს სადმე... უჩვენებს სეირს. მაგრამ მოხერხებული კაცია, მაშინვე რაიმე გამოგონილ „რაპორტს“ მიართმევს—ოხუჯობდნენ ამხანაგები.

ამ დროს გარეთ რაღაცა ხმაურობა და ყვირილი გაისმა.

— ღენერალი ლ-ი მობრძანდა!—დაიძახეს ბანაკში. აფიცრები გარეთ გავარდნენ. მთელი ბანაკი ხარხარებდა.

— რა იყო, რა მოხდა ბიჭებო—ეკითხებოდნენ აფიცრები რაზმელებს.

საქმე მალე გამოირკვა.

გზატკეცილზედ გაგზავნილმა რაზმელმა შორიდან ავტომობილი დაინახა. მაშინვე გადახტა შუა გზაზედ და შესძახა:—შესდექ, სტოი!

ავტომობილი მაშინვე შედგა. შიგ ღენერალი ლ-ი იჯდა.

— Что тебѣ нужно? მრისხანეთ შეეკითხა ღენერალი.

— შაშა ერისთავი ნე ვიდელ?—წარბშეუხრელად ეკითხება რაზმელი.

— Какой Шаша! ты кто такой?—შეჰყვირა გაბრაზებულმა ღენერალმა.

— ნეტ? ნე ვიდელ?

უპასუხა დარაჯმა.

ასტყდა ერთი აყალ-მაყალი, აფიცრების სიცილ-ხარხარი.

ღენერალმა ავტომობილი გააქანა და გაჰქრა.

ამ დროს გამოჩნდა თვით „სკანდალის“ გმირი ვეებერთელა „შაშა“. დინჯად და არხეინად ჩამოდიოდა გზატკეცილიდან ბანაკში.

— რა იყო ხალხო? რა ამბავია?..

— ის ამბავია, რომ შენი საქმე გათავებულია. ღენერალ ლ-ს „შაშა ერისთავი“ აღარ დაავიწყდება.—მიეგებნენ სიცილით ერისთავს მისი ამხანაგი აფიცრები.

---

**ჭინჭარაული—ვირების ბედაური**

ფარეხის უღელტეხილზედ ორი ჩვენი ქვეითი ასეული ერთხელ ხიფათში ჩავარდა.

როგორც კი შესდგა ფეხი საზღვარზედ, მიიღო ბრძანება ავანგარდად ლაზისტანში შესულიყო. ამ ბრძანების მიღების შემდეგ დაღლილ-დაქანცული რამდენიმე დღე უჭმელმა რაზმელებმა უსაყვედურო, მოიკიდეს თავიანთი გუდა-ნაბდები და შეუდგნენ მძიმე გზასა. მთები წარმოუდგენელ სიმაღლისა, თოვლით დღფენილნი და ვიწრო ბილიკებით დასერილნი—ასეთი იყო გზა ლიზიტანში მიმავალი. ამ ბილიკზედ უნდა გადასულიყო რაზმი და შეჰრილიყო ლაზისტანში რაზმი მეტის მეტად დაიქანცა და დაიღალა: მშიერნი ფეხზე ძლივს იდგნენ. ყველანი ალმაცერად გამოიყურებოდნენ და იღრიჭებოდნენ. მარტო ჭინჭარაულის სახეს ღიმილი არ შორდებოდა. ვირზედ შემჯდარი არხეინად და ამაყად მიერეკებოდა თავის სამწყსოს დატვირთულ ვირებს და თან ღიღინებდა. დასვენების დროს, თავისუფალ ადგილზედ გაამწკრივებდა თავის „ვზვოდს“, როგორც თვითონ ეძახოდა, და რუსულად „უკამანდებდა“: „მოჟნო ოტდიხაიტ. პაპიროსუ კურიტ“-ო.. ან და ქართულად: „სმენა! მარცხნივ გასწორდით! კამანდირი მობრძანდება“. დაქანცული დრუჟინიკები ერთობოდნენ ჭინჭარაულის ოხუნჯობით და ვერც წარმოედგინათ უჭინჭარაულოდ მგზავრობა. ერთს ღამეს მზვერავებმა ასის თავს ამბავი მიუტანეს, რომ იქვე ქვევით ოსმალთა გაჩირაღდნებული ბანაკი მოჩანსო. ამ დროს იმ მხრიდან ელექტრონის ფარნის კამკამი დაინახეს. ოსმალები თავასიანებს ელაპარაკებოდნენ. რაზმის უფროსმა ამოიღო თავისი ფარანი და დაუკამკამა. მაშინვე რამდენიმე მხრიდან უპასუხეს. აღმოჩნდა, ასეულები გარშემორტყმულნი იყვნენ მტრითა. აცნობეს ჯარების უფროსს. მიიღეს ბრძანებაც. რაზმი ჩუმად და ნელნელა უკან უნდა დაწეულიყო. საშინელს და ბნელ ღამეში რაზმი უკან იხევდა, ვირების ბედაური ჭინჭარაული სათავეში მოხვდა. უსიტყვოდ და ფეხაკრეფით იწევდა რაზმი თავის საზღვრისაკენ. მიმხვდარი მტერიც შემორტყმულ რკალს თანდათან ავიწროვებდა და სდევნიდა ჩვენებს. მაგრამ სიბნელეში უძნელდებოდა ლასხევი გზის მოჭრა, ამიტომ ჩუმს მოძრაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რაზმისათვის. ამ დროს გაისმა ამპარტავანი ხმა ჭინჭარაულისა.

„ვირებო წიხლი მტერსა კართ,
ნუ გეშინიანთ მისაო,
დრო დაგიდგათ დიდებისა,
ხანა დახევისაო“.

გარშემო ასტყდა სიცილ-კისკისი.

გააჩუმეთ ეგ ვ—ს თავი მრისხანედ დასძახა ასისთავმა.—ერთი შეხე როდის მოუნდა სიმღერა?!.—ხელათ მისცვივდნენ საბრალოს და პანჩურებით ჩააჩუმეს.

— თქვე კაი კაცებო, მადლობის მაგიერია! თქვენი ლაჩრობა უნდა დამემალა, თორემ...

აჩი ვირო, შე თათარ გამწყრალო!—შეჰყვირა ჭინჭარაულმა უკანასკნელად და ჩაჩუმდა.

რაზმი უვნებლად გადარჩა ხიფათს და ჩამოვიდა მურღულში.

მხედარი

# ახალი ამბავი

◆ მისი უმაღლესობა კნეინა ტატიანა ბაგრატიონ მუხრან ბატონი, ასული დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა, მცხეთას გამოემგზავრა, რომ შეევედრა ცხედარს თავის მეუღლის, გმირ თავადის ბაგრატიონ-მუხრან ბატონისას, რომელმაც სახელოვანად დალია სული ბრძოლის ველზედ. მის უმაღლესობას თან ახლავს უავგუსტოესი ძმა, მისი უმაღლესობა თავადი იგორ კონსტანტინეს ძე.

◆ **პანაშვიდი.** 24 მაისს ქვაშვეთის ტაძარში ბრძოლის ველზე გმირულად გარდაცვ. თავ.კ. ა. მუხრან-ბატონის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადა საქართველოს ეგზარხოსმა ყოვლად სამღვდელო პიტირიმმა, ეპისკოპოსების ანტონისა და ლეონტის, არქიმანდრიტის პიროსისა და დეკანოზი ქ. ცინცაძის თანამსახურებით. პანაშვიდს დაესწრნენ: სტ.-დამა კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრანბატონისა, უბრწყ. კნ. თამ. დ. გრუზინსკისა, ნამესტნიკის საბჭოს წევრი მ. პ. გაკელი, წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარ-რწმუნებული კამერგერი გოლუბევი, თბილისის თავად-აზნაურთა მარშლები, ქალაქის გამგეობის წევრი გ. დ. ჟურული, სოხუმის ქალაქის მოურავი თ. ა. გ. შერვაშიძე, გენ.-მაიორ. ვ. მ. თამამშევი და დიდძალი ხალხი.

◆ **„დედა-ენის“ შესწორების შესახებ.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულმა სასკოლო სექციამ ყურადღება მიაქცია გოგებაშვილის „დედა-ენის“ შესწორებას თანამედროვე პირობების და პედაგოგიურ მოთხოვნილებათა თანახმად. სხვათა შორის შემდეგი აზრი გამოსთქვეს: 1) „დედა-ენის“ პირველ ნაწილის ანბანის განყოფილებიდან უნდა განიდევნოს ზედმეტი უმნიშვნელო სიტყვები და ფრაზები; 2) ანდაზები და გამოცანები, ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან და ადვილად გასაგების გარდა; 3) ანბანის შემდეგ მოთავსებულ იქმნეს შესაფერი მასალა; 4) გაუმჯობესდეს მთელი განყოფილება სურათებისა ხელოვნურ-ტეხნიკურ-პედაგოგიურის მხრივ და სხვა.

◆ **კრების გადადება.** გუშინდელ დღისთვის დანიშნული იყო წლიური კრება გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს წრის წევრთა. რადგანაც წევრთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა, კრება აღარ შესდგა და სხვა დროისათვის გადაიდო.

◆ **საზურთალოს სახალხო სახლში** 24 მაისს არ შესდგა საბავშო დილა და სახალხო ლექციების წაკითხვა, რადგან დილის მომწყობი ილია ნაკაშიძე ავად გახდა.

◆ **ქართულ კულტ. მოყვ. საზოგადოების კრებაზე.** 24 მაისს, ქართ. კულ. მოყ. საზოგადოებამ გამართა სასხორო უკანასკნელი კრება. საზოგადოებამ მოისმინა ფრიად საინტერესო რეფერატი ბ-ნ კიზირიას მიერ დაწერილი „ქართული სამართალი მეფე ვახტანგ მეექვსის კანონების მიხედვით“. სამწუხაროდ რეფერანტმა მხოლოდ პირველი ნაწილის წაკითხვა მოასწრო. საზოგადოება ფრიად კმაყოფილი იყო მოხსენებით და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ბ-ნი კიზირია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კვირას ერთხელ კიდევ დამატებით კრებას გამართავს „საზოგადოება“ ამ ფრიად შინაარსიან მოხსენების დასამთავრებლად.

ამავე საღამოს კრებამ განიხილა რამდენიმე საკითხი ქ. კულტ. საზოგადოებათა კავშირში შესასვლელად, ნ. ლომოურის ხსოვნის აღსანიშნავ პრემიის დასადგენად და სხვა.

**ბათუმი.**

◆ ომისგან დაზარალებულთა დამხმარე ბათომის საოლქო კომიტეტის უკანასკნელ კრებაზედ აღიძრა საკითხი, თუ როგორ გამოიყენონ მოსავალი ბათომის ოლქის იმ მცხოვრებთა, რომელთაც ომის გამო დასტოვეს თავიანთი სახლ-კარი. კომიტეტს მიეშველა ბათომის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება. საწყობის გამგემ ბ-ნმა ვოლკოვმა შემოიტანა ასეთი წინადადება: 1) უნდა მოვიწვიოთ ორი დარაჯი და დავავალოთ, სამი თვის განმავლობაში უპატრონონ გონიის, სარპის, მაკრიოლის და ხოფის რაიონების მოსავალს; 2) გაიყიდოს მოკრეფილი და საწყობში შემოტანილი მოსავალი და აღებული გადაეცეს საოლქო კომიტეტს; 3) ეთხოვოს კომენდანტს, აკრძალოს ბათომიდან ხილის გატანა.

ამგვარივე წინადადება შემოიტანეს ართვინის ოლქის საზეთისხილო რაიონის შესახებ, რომელიც დღესდღეობით დაცალიერებულია.

# ქართული მართლწერა

„ჩემის აზრით“ ისმის ყველგან საუბარში და,თუ დაუწუნეთ, შეგიხირდებიან კიდეც,—გრამატიკულად სრულიათ წესიერად არის ორი სიტყვა შეთანხმებულიო.

შეთანხმებით რომ ვხელმძღვანელობდეთ, იმ შეთანხმებით, რომელსაც რუსული ენა ემორჩილება და რომლის წესებს გვინდა ქართულიც დავუმორჩილოთ, „ჩემი აზრით“-ა, ვიტყოდით; არ ვამბობთ, რადგან ამ ფორმის სიძველესა ვგრძნობთ, გვინდა სამაგიეროდ ენას რაღაცა ახალი, ნაძალადევი, იმის ბუნების წინააღმდეგი შევძლინათ და სრულიად უწესური შეთანხმება შემოგვაქვს: აზრით—მოქმედებითი.*)

*) ვხმარობთ უკვე მიღებული სახელებს, თუმცა თავის დანიშნულებას ვერ იმაყოფილებენ.

არსებითი სიტყვის წინ განმარტებად ნახმარი ზედშესრული, რიცხვითი სიტყვა ან ნაცვალსახელი, ბრუნვის დროს.

ან უცვლელად რჩება, ან მე თუ იცვლება, სულ სხვაფრივ, ვიდრე არსებითი სიტყვა, 3) მრავლობითი რიცხვში ისევე რჩება, როგორადაც მხოლოობითში იყო და 4) შეთანხმება არსებითი სიტყვისა და განმარტებისა იმდენად იშვიათია, რომ შეიძლება ვსთქვათ: ხანა შეთანხმებისა ქართულ ენას უკვე გამოუვლია და გამარტივების გზას ადგას.

როდესაც არსებითი ს წინ ნახმარი განმარტება დაბოლოვებულია ასოებით ა, ე, ო, უ, ბრუნავს მარტო არსებითი სიტყვა, განმარტება უცვლელად რჩება ბრუნვის ყველა სახეში და ორსავე რიცხვში:

მწვანე ვაშლი, მწვანე ვაშლისა, მწვანე ვაშლსა, მწვანე ვაშლმა, მწვანე ვაშლით, მწვანე ვაშლად, მწვანე ვაშლო, მწვანე ვაშლები, მწვანე ვაშლებისა... ბრმა ხარი, ბრმა ხარისა... ბრმა ხარები, ბრმა ხარებისა... მოგრძო ჩოხა, მოგრძო ჩოხისა... მოგრძო ჩოხები, მოგრძო ჩოხებისა... ყრუ მებაღე, ყრუ მებაღისა... ყრუ მებაღეები, ყრუ მებაღეებისა.

თითქმის ამავე წესით ბრუნავს ჩვენებითი ნაცვალსახელი, როდესაც წინ უძღვის არსებით სიტყვას:

ეს კაცი, იმ კაცისა, იმ კაცსა... ეს კაცები, იმ კაცებისა, ამ კაცებსა...*) ეგ კაცი, მაგ კაცისა... ეგ კაცები, მაგ კაცებისა, მაგ კაცებსა...

განსხვავება ის არის, რომ აქ ნათესაობითი სახე რჩება უცვლელად, სახელობითი კი აღარ იხმარება, თუმცა სახელობითი „მაგი“ დღესაც ისმის გურიაში.

ასოთი ი დაბოლოვებული ზედშესრული, როდესაც წინ უძღვის არსებით სიტყვას, ბრუნავს იმასთან შეთანხმებით მხოლოობითი რიცხვის მოთხრობითში—ზარმაცმა ქალმა, და მიმართვითში,—ზარმაცო ქალო.

ნათესაობითსა და მოქმედებით სახეში ზედშესრული უცვლელად რჩება: ნათეს.—ზარმაცი ქალისა, მოქმ.—ზარმაცი ქალით;

მიცემითსა და ვნებით სახეში ზედშესრულს ეკვეცება დაბოლოვება ი: მიც.—ზარმაც ქალს, ვნებ.—ზარმაც ქალად.

მრავლობითში ზედშესრული ისე ბრუნავს, როგორც მხოლოობითში: ზარმაცი ქალები, ზარმაცი ქალებისა, ზარმაც ქალებსა, ზარმაცმა ქალებმა, ზარმაცი ქალებით, ზარმაც ქალებად, ზარმაცო ქალებო.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ნათეს. სახეში ზედ წლის წინა ღამე; საწნახელში ჩამდგარ ბიჭების სიმღერა; ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება; წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა.

შეთანხმება არსებითი სიტყვისა და ზედშესრულისა ნათესაობით სახეში გამოიწვევს აზრის გადასხვაფერებას, როდესაც კი ზედშესრულს არსებითი სიტყვის მნიშვნელობაცა აქვს:

მდიდარი მოურავი, ნათ.—მდიდარი მოურავისა. რომა ვთქვათ, მდიდრის მოურავისა არა მწამს რაო, მდიდრად მემამულეს ვიგულებთ და არა იმის მოურავს. მკვდარი ძაღლისა ნუ გეშინია; ვინც იტყვის, მკვდრის ძაღლისა ნუ გეშინიათ, ძაღლს გაუცოცხლებს და იმის პატრონს მოჰკლავს.

მწერალი ქალის ნათქვამი სხვაა და მწერლის ქალის ნათქვამი სხვა.

ეს ხილი მუნჯი მებაღისაა; სულ სხვა აზრი აქვს წინადადებას: ეს ხილი მუნჯის მებაღისაა.

ასოთი ი დაბოლოვებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ჩემი, შენი..), როდესაც წინ უძღვის არსებით სიტყვას, სწორედ ისე ბრუნავს, როგორადაც ი-ით დაბოლოვებული ზედშესრული:

ჩემი აზრი, ჩემი აზრისა, ჩემ აზრს, ჩემმა აზრმა, **ჩემი აზრით**, ჩემ აზრად, ჩემო აზრო.

მრავლობითში—ისევე, როგორადაც მხოლოობითში: ჩემი აზრები, ჩემი აზრებისა...

ამ წესს არ ემორჩილება კუთვნილებითი ნაცვალსახელი—ამისი, იმისი, მაგისი, თავისი,—რომელიც ხშირად სახელობითშივე ჰკარგავს დაბოლოვებას ი: იმის წიგნი, ამის მთქმელი, თავის კაბა. ეს ნაცვალსახელი მარტო მოთხრობითში ეთანხმება არსებით სიტყვას (იმისმა წამალმა), ნათეს. და მოქმ. სახეში ჰკარგავს დაბოლოვებას ი (ნათეს.—იმის წამლისას, მოქმ.—იმის წამლით) და ასე ბრუნავს: იმის(ი) წიგნი, იმის(ი) წიგნისა, იმის წიგნსა, იმისმა წიგნმა, იმის (ი) წიგნებით, იმის წიგნად. ახლო მომავალში დაბოლოვება ი მოეკვეცება, და ბრუნვაში ნაცვალსახელი უცვლელად დარჩება, (გარდა მოთხრობითი სახისა), როგორც უცვლელად რჩება განმარტებად ხმარებული არსებითი სიტყვის ნათეს. სახე: შინდის ჯოხი, შინდის ჯოხისა... შინდის ჯოხები, შინდის ჯოხებისა...

*) ამ კაცისა, ამ კაცსა...

იტყვიან, ეს წესები—არსებითი სიტყვის და იმის განმარტების შეთანხმებისა—დაწვრილებით არის ახსნილი გრამატიკის სახელმძღვანელოებში.

იქნება აგრეც იყოს, თუმცა აგრე რომ ყოფილიყო, მ. ჯანაშვილი, ავტორი გრამატიკის სახელმძღვანელოისა, არ დასწერდა იმისთანა წინადადებას, რომელში უარყოფილია შეთანხმება მოთხრობითი სახისა: ავთანდილს... „მის ერთგულ ასმათმა მოახსენა“.

აგრე რომ ყოფილიყო, ჩვენ მწერლობაში არ იქნებოდა გამეფებული ის მართლა ანარქიული არევდარევა უწესურობა, რომლის ძალით ერთი და იგივე მწერალი ერთ და იმავე ფურცელზედ ხან სრული შეთანხმებითა სწერს, ხან უარჰყოფს ყოველ შეთანხმებას.

აგრე რომ ყოფილიყო, ბავშვთათვის ანბანის შემდეგ პირველ საკითხავ წიგნში არ იქნებოდა ის უკვე დიდიხნის მკვდარი ფორმები, რომლითაც აჭრელებულია დედა-ენა (XXIX გამოცემა): ვანო ახდილის ქვევრის პირთან იდგა; ნიკოს ჯავრი სჭირდა თავისის დისა; შემოსულის ყანის პირთან იდგნენ; გალია გაუღო თავის ბარტყებსა; მისთავაზა თავისს ღარიბს ამხანაგსა; მოელოდა ჭრელს წინდებსა, ლამაზს ახალოხსა და წითელ ვაშლებსა.

**ივ. მაჭავარიანი.**

## PAS DE CHANCE!

(ვაჟა-ფშაველას „საღამოს“ გამო)

დიდი ხნის ძილის შემდეგ ჩვენმა საზოგადოებამ თვალი მოიფშვნიტა: ძლივს! შეამჩნია ბუმბერაზი!

დიდი ხნის ბურუსთან ბრძოლის შემდეგ საზოგადოებამ მოისურვა პატივი ეცა ამ ჟამად ჩვენს დამამშვენებელ კერპისათვის!

ზეიმი არა, მთელი ნაჭირნახულევის დაფასება არა, მაგრამ მაინც დროებითი პატივი!

აირჩიეს კომიტეტი...

აფრინეს „სიტყვა-კაზმულ საზოგადოებასთან“ შიკრიკები ფირმანის სათხოვნელად...

მოხსნეს სარეკლამო ყუთები, თუმც არავითარი რეკლამა არ იყო საჭირო იქ, სადაც ისეთი ბუმბერაზის სახელწოდებაა, როგორიც **ვაჟა-ფშაველაა!**

შემუშავდა პროგრამმა...

ნელ-ნელ გაზეთების საშუალებით გვამცნეს პროგრამის შემუშავება...

მისი ხანგრძლივობა და დაფარული სახე მრავალს რასმეს გვპირდებოდა...

მოახლოვდა დრო... საზოგადოება თეატრის კარებს ამტვრევდა... ყველას ჰსურდა ახლად აღმოჩენილ ბუმბერაზის სანახაობით დამტკბარიყო...

წუთიც...

შეირხა ფარდა... საიდუმლოება გამოცხადდა...

პროგრამის პირველ მუხლის თანახმად სცენაზე ვხედავთ ბ-ნ რობაქიძეს...

ყველა იცნობს ამ ახალგაზრდა ლექტორს... იცნობს მის უმთავრეს ღირსებას, რაიც შეიძლება ორიოდ სიტყვით დახასიათდეს: მგოსანი სიტყვის წარმოთქმის დროს და უბადლო რიტორი ლექსის თხზვაში...

მართლაც, ბევრს პოეტს შეჰშურდება მისი ფერადები... ქალწული... ტევრად დაყრილი გიშრის თმა... ირმის ჩლიქით ამღვრეული ნაკადული...

დასაწყისი ხომ ყოველთვის ასეთია!

შემდეგ თვით ვაჟას პოეზიის განხილვა... განსაკუთრებით „გველის ჭამიას“ გენიოსობის ტახტრევანზე აყვანა... შემდეგ იგივე ქალწული... ნიავთა ნანინა... მთვარის შუქი და... ზმანების ყურთუკზე მიძინებით მის სიტყვის ჰაეროვანი დასასრული...

მაგრამ ამ ჟამად რობაქიძის ლექციის გაკრიტიკებას არ ვაპირებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი პროგრამას შეეფერებოდა, ბევრად მიზანშეწონილი გამოდგა და იმ პოზიტივურ ნიადაგზეა დამყარებული, რასაც, არ ვიცი რატომ, სახელდახელოდ წყევლა-კრულვა ჩაურთო ლექტორმა ამ სიტყვაში. ვფიქრობ, მიწასთან დაახლოვებამ ამ საღამოს მას მეტი მოაგებინა და მისი მომავალიც სწორედ ამ გზით გაიფურჩნება, თუ კი გულისხმას ჰყოფს და მთვარის შუქის ეტლით ციდან ისევ ჩვენს შორის დაიწყებს ნავარდს.

შემდეგ დაპირებისაებრ უნდა გვენახა ბ-ნი იოსებ მაჭავარიანი, მაგრამ... ვერ ვნახეთ, არ გამოცხადდა...

მეორე განყოფილებაში ბევრი გვაცინა ბ-ნმა თაგუნამ, თუ როგორ გაითქვა სახელი „ვაჟა-ფშაველას საღამოზე“.

ამას მოჰყვა ქ-ნ შავერზიშვილის რომანსები... ამ ქალს ჩვენი საზოგადოება მეორედ ჰხედავს. ხმა მისი არ არის საზარბიელო, თუმცა ტაშით საზოგადოების ჯილდო მიიღო.

ვნახეთ ვ. სარაჯიშვილიც. სამწუხაროდ, მისი „იტალიური რომანსების“ სტილი სრულებით არ შეეფერებოდა ამ საღამოს. დამეთანხმებით, „ოჰ, მარი, ოჰ, მარი... ნეტავ შენს გულში ჩა...მაძინა...“ და ვნებანი კილო უფრო სხვა დროს და სხვა ადგილას, სადმე სალონში შეეფერებოდა, ვიდრე ჩვენ მგოსნის საპატივცემულოდ გამართულ საღამოს, მით უმეტეს ჩვენის მომღერლის რეპერტუარი ვრცელია და რად დასჭირდა შეუფერებელი ნომრების ამორჩევა, ვერ გავიგია.

ვერ გავიგია აგრეთვე ბ-ნ კავსაძის ხოროს პროგრამის სიღატაკე. ქართული სიმღერები დაუშრეტელი ზღვაა. მისგან კი ამ ხუთი წლის განმავლობაში სულ ხუთიოდე სიმღერა მესმის. ყოველთვის ერთი და იგივე, ერთი და იგივე... ამას შეურიგდებოდა კაცი, რომ ხმების კულტურა მაინც შეექმნა. ამდენი ხნის ვარჯიშის შემდეგ ხორო ტრაფარეტულად იმეორებს ყოველ ნომრებს. შეუმუშავებიათ ერთი შეუწყნარებელი ჟანრი, რასაც შეგვიძლიან კავსაძური ვუწოდოთ. ეს იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ სიმღერას, რაგინდ ცქრიალა იყოს, ეკლესიური დაბოლოვებით ათავებენ. სავალალოა ისიც, რომ ხმებში დისპროპორციაა გამეფებული. მაგალითად, პირველ ხმებში ვერ ჰხედავთ თანხმობას და აშკარად არჩევთ თვითეულის ინდივიდუალურ ხმას. ლოტბარს უნდა ესმოდეს, თუ რა ცუდი შთაბეჭდილება იქნება, როდესაც ერთ ხმის ნაცვლად ათასი გესმის...

მესამე განყოფილება შედევრი იყო საზოგადოების მოტყუებისა: პროგრამის თანახმად ჩვენ ვერ დავინახეთ ვერც ალ. იმედაშვილი, ვერც ივ. ბუქურაული ვერც თ. რაზიკაშვილი, რომელთაც ვაჟას ლექსები უნდა წაეკითხათ. იმათაც, ვინც დარჩნენ, ისე უფერულად წაიკითხეს, რომ ტაშის სიმჭლევის გამო ბისი დაუპატიჟებლად იქმნა შესრულებული ბ-ნ ნ. ერისთავის მიერ. შემდეგ გ. რცხილაძის სიტყვამ ხომ ყველას ცივი წყალი გადაასხა. „ნეტამც არ ეთქვა!“ ბევრის ამოოხვრას გაიგონებდით ამ საღამოს. მართლაც ბ-ნ რცხილაძეს რუსულად რომ მიემართნა, ის სჯობდა, ვიდრე სიტყვების ძებნით თავის თავსაც დასტანჯავდა და მსმენელსაც. კიდევ კარგი, რომ შემდეგ თვით ვაჟამ თვისი ბუმბერაზ კილოიანი ლექსებით რაოდენადმე გამოასწორა ეს დიდი ნაკლი, თორემ ვინ იცის, წყევლა კრულვით დაშლილიყო გულნაკლული ჩვენი საზოგადოება.

ასეთი მარცხით დამთავრდა ვაჟას პატივსაცემლად გამართული „საღამო“, რომლის მზგავსს ურეკლამოდ და უყვირლად ჰმართავენ ყოველ დღე „სახალხო სახლში“. ჩვენ მოველოდით გრანდიოზულს და შაბლონი შევვრჩა ხელში. ჭეშმარიტად, ვაჟას, როგორც დღემდე, ისე ამ პატივისცემაშიც არ სწყალობს ბედი. ან რას იზამს, ვით გარდაუვა ბედის წერას, მის სატიალო შავს ხაზებს, რაზეც ფრანგები იტყვიან ხოლმე:

Pas de chance!

**დ. კ—ძე.**

# ნარევი

**სოციალური ჰიგიენა და სიგანე ქუჩებისა.**

პარიზსში ჭლექისაგან 5 პროცენტი კვდება. გასაოცარი დამოკიდებულება არსებობს ამ სენსა და ფართო. მზიან ქუჩათა შორის. შეადარეს თანაბარი სიგრძის ორი გზა, ერთი მეორის პარალელი და მაშასადამე ერთი და იგივე მიმართულებისა: სტრასბურგის ხეივონი და სენ-მარტენის ქუჩა. პირველის რაიონში, რომელიც უფრო გაშლილია, ნათელი და მზიანი, ჭლექით მხოლოდ ერთი პროცენტი კვდება, მაშინ როდესაც მეორეში. ხადაც მეტი ვიწროობაა და ჰაერიც უფრო დახშული, 10-ჯერ მეტი იხოცება.

ლონდონში თავისუფალი სივრცე 14 პროცენტამდე ადის, ბერლინში 10-მდე, პარიზში კი 4, 5 პროცენტზე მხოლოდ.

**რკინის გზათა ქსელი.**

1909 წელს საფრანგეთში დააგეს 454 კილომეტრი*) რკინის გზის ახალი ლიანდაგი. გერმანიაში—1055 კილომეტრი, ავსტრია-უნგრეთში—1.081 კილ., რუსეთში 560 კილომეტრი.

10000 კაცის საბინადრო ტერიტორიინ კვალობაზედ რომ დავყოთ ამა თუ იმ ქვეყნის მთელი რკინის გზის ლიანდაგის სიგრძე, შემდეგი პროპორცია გვექნება: საფრანგეთისთვის 12,4 კილომეტრი, შვეციისთვის 26,9 კ. ნორვეგიისთვის 13,5 კილ., შვეიცარიისთვის 13,8 კილომ. და გერმანიისთვის 9,9.

**მაჰმადიანთა რაოდენობა.**

უკანასკნელი სტატისტიკის მიხედვით მაჰმადიანთა რიცხვი 250 მილიონამდე ადის. საფრანგეთის აფრიკაში ითვლება 24 მილიონი; ამდენივე ოსმალეთში. ინგლისის ინდოეთშია 65 მილიონი მკვიდრი მაჰმადიანი, ჰოლანდიისაში 30 მილიონი. ჩინეთსა ყავს 30 მილიონი. ეგვიპტესა და სპარსეთს თითოსა ათ-ათი მილიონი.

ნაჩვენები რიცხვი უფრო ნაკლები უნდა იყოს ვიდრე ნამდვილად არის. სხვათა შორის რუსეთის მაჰმადიანები არაა ნაანგარიშევი.

*) კილომეტრი ვერსზე ცოტა ნაკლებია.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


**ხილის მაზანდა.**

**ამხანაგობა „ქართლი“ ამით აცხადებს, რომ 14-ს მაისს** თბილისის ბაზარზედ ხენდრო გაიყიდა 4 მანეთად. **15-ს** ხენდრო—3 მან. ბალი 5 და 4 მ. კრუჟოვნიკი 5 მ. **16-ს** ხენდრო 3 მ. ბალი 4 მ. **17-ს** ხენდრო 3 მ. ბალი 4 მ. **18-ს** ხენდრო—3 მ. ბალი 4 მან. წითელი; 3 მ. თეთრი. ალუბალი 6 მ. მარწყვი 5 მან. ტყემალი 1 მ. და 60 კ. **19-ს** ხენდრო 3 და 2 მან. (ხარისხის მიხედვით) ბალი 5 და 4 მან. კომბოსტო 1.40 კ. **20-ს** ხენდრო 4 მ. ბალი წით. 6 მ. თეთრი—3.50 კ. **21-ს** ხენდრო 4 მ. ბალი 6 და 4 მ. ალუბალი 6 მან. **22-ს** ხენდრო 4 მ. ბალი თეთრი 5 მან. ალუბალი 6 მან.

ამის შემდეგ ხილის მაზანდა დაიბეჭდება ყოველ-დღე გაზეთ „საქართველოში“ ამავე ადგილას.


## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ . . | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან | 1 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 2 ს. | 16 წ. | საღ. |
| გურჯაანიდან . . . | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | საღ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში, . . . . | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 9 „ | 25 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დი[illegible] |
| ჯულფიდან. . | 6 ს. | 53 წ. | დი[illegible] |
| ბორჯომიდამ . | 7 ს. | 25 წ. | დი[illegible] |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |


**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩ[illegible] კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

# ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა.**

25—

მეხილეთა ამხანაგობა

# „ქართლი“

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღ[illegible] ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძ[illegible]ნონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

# განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით“**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

წიგნის მაღაზია

# „ახალი სიტყვა“

**(„НОВАЯ РѢЧЬ“.)**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—1)

**მიიღება ხელის მოწერა**

**1915 წ. ენკენისთვიდან გამოვა სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო თვიური ჟურნალი**

# „ახალი მოამბე“

**ჟურნალში უმახლობელეს მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიაშვილი, თანამშრომლად მოწვეულია ყველა ჩვენი ცნობილი მწერალი.**

დასაბეჭდად მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი.

**ჟურნალი პარტიათა გარეშე იდგება და პროგრესიულ-დემოკრატიული მიმართულების იქნება.**

პირველი ნომერი გამოვა ენკენისთვის 20—25-ს, ზომით 15—20 ფორმამდე.

**რედაქციის ბინა:** თბილისი, ყაზბეგის ქუჩის შესახვევი, № 4. **ფოსტით:** Тифлисъ, ред. груз. журн. „Ахали Моамбэ“.

**ფასი:** წლიურად—10 მან., ნახევარი წლით—6 მან., ხოლო ამა წლის ენკენისთვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან.

**ფული უნდა გამოიგზავნოს:** Тифлисъ, ред. груз. журн. „Ахали Моамбэ“ Ивану Спиридоновичу Эліашвили.

რედაქტორ-გამომცემელი **ნინო ბეჟ. ყიფიანისა.**

# ელისაბედ მღებრიშვილის პანსიონი წაღვერში.

პანსიონი საგანგებოდაა მოწყობილი და გარშემორტყმულია ფიჭვნარით. პირობების გაგება: წაღვერი, ელისაბედ **მღებრიშვილს.**




ძსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან